

1160
F19.338

2

n

Handwritten text in Arabic script, possibly a date or reference number.

13-90-16

10-



სოფოკლი



1-19:328
2

ანტიგონე

~~12260~~
1460

თარგმანი ლექსად ქვე-
ლი ბერძნულიდან
გიორგი გვაზავასი

სტამბა „სორაპანი“
1912 წ. ქ. თბილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ო ჯ მ ე ღ ნ ი პ ი რ ნ ი :

ანტიგონე }
ისმენა } მეფე ელიპის ქალები.

კრეონი—მეფე ქალაქ თებისა.

ევრედია—მისი მეუღლე.

გემონ—კრეონის შვილი, საქმრო ანტიგონესი.

დარაჯი.

მოამბე.

მსახური.

ხორო—თების მოხუცთა.

ტერეზი—მისანი.



ანტიგონე.

—:—

(სტენა წარმოადგენს მეუფის სასახლეს ქალაქ თებში.—განთიხდია).

ანტიგონე.

ძვირფასო დაო, ჩემო ისმენა!
 ხომ იცი—გვდევნის უბედურება;
 ედიპის შემდეგ ზევესს სწადიან
 ჩვენი სიცოცხლის განადგურება.
 სუყველაფერი—მწველი, საზარი,
 სასირცხვილო და სამწუხარონი—
 სუყველაფერი შეერთებულა
 ჩემსა და შენსა ტანჯვაში, მგონი.
 ეხლაც მეფემან ქალაქსა მთელსა
 ბრძანება გასცა გასაოცარი.
 იცი, თუ არა, რომ მტრების-მიერ
 მოყვარეთ გული ექნებათ მწვარი?!

ისმენა.

მე არაფერი გამიგონია
 არცა საამო, არცა საწყენი,
 მას აქედ, რაც რომ ბრძოლისა ველად
 ორივე ძმები დავკარგეთ ჩვენი,



მას აქედ, რაც რომ ერთდა იმავ დღეს
 ერთმეორეს მათ შეაკლეს თავი
 და ჩვენს ქალაქსა არგოსელებმა
 აჰყარეს ალყა,—დაო, ამბავი
 არც კარგი ვიცი, არცარა—ავი.

ანტიგონე.

მე ეს ვიცოდი და ამიტომა
 სალაპარაკოდ გაგიხმე გარე.

ისმენა.

რა ამბავია? რად ხარ მღელვარე?

ანტიგონე.

ერთი ძმის კუბო მეორისასა
 განა კრწონმა არ ამჯობინა?
 ეტეოკლი მან, ვით ღირსეული,
 დიდის პატივით დაამარხვინა,
 როგორც მოითხოვს სჯული და წესი;
 გვამი კი ბედკრულ პოლონიკესი?!..
 „არვინ გაბედოს მისი დამარხვა,
 „არ დაიტეროს არავინ ისო,
 „მინდვრად დარჩება ძაღლების სარჩოდ
 „და დასაფლეთად ფრინველებისო.
 ამას გვიბრძანებს შენცა და მეცა.
 ეხლა აქ მოდის თვითონ კრწონი,
 რომ აქ ყველასა, ვინც ჯერ არ იცის,
 გამოუცხადოს თავის კანონი,



საქმე სახუმროდ არ მიაჩნია:
 ვინც ამ კანონსა აღუდგებოა,
 იმას მოელის ქვითა ჩაქოლვა,
 იგი სიკვდილით დაისჯებაო». —
 აგრეა საქმე. ეხლა შენ იცი.
 კეთილშობილთა შენ ხარ ასული
 და დაამტკიცებ, თუ მშობლებისგან
 გამოგყოლია იმათი სული.

ისმენა.

რა შემძლია მე, უბედურსა,
 კარგის თუ ავის—რისი მოტანა?

ანტიგონე.

მითხარი, გინდა შემიწყუო ხელი?

ისმენა.

რა განძრახე? რას ჰფიქრობ განა?

ანტიგონე.

დავასაფლაოთ ჩვენი ცხედარი.

ისმენა

ნუ თუ განძრახვა შენი ეგ არი?
 მერე მეფისა განკარგულება?

ანტიგონე.

ლიახ, ჩემი ძმის, შენივე ძმისა, —
 თუ გაქვს ამდენი გაბედულება.

ისმენა.

გაგიჟდი? მეფეს შენ ეცილები?



ანტიგონე.

მე ჩემს სინიღისს ვემორჩილები.

ისმენა.

ჩემო ძვირფასო, არ გახსოვს მამა?!
 რა სიმწარეში დაჰლია სული,
 რა რომ სცნო თვისი დანაშაული
 და ორივ თვალი ამოითხარა?
 კვლავ დედა მისი, იგივე მეუღლე
 და დედა ჩვენი, ის საცოდავი—
 აბა რა ცეცხლი გამოიარა
 და რა საზარლად დაიხრჩო თავი?
 მერე ძმებიცა; როგორ ერთმანეთს
 ერთ ბრძოლის ველზე მოუდეს ბოლო...
 ჩვენ დავრჩით მარტო... ოჰ დაუფიქრდი,
 მეფესა ისე არ შეებრძოლო.
 რა სიკვდილითა ჩვენ დავისჯებით,
 თუ მის კანონსა წინ აღუდგებით.
 გახსოვდეს, დაო, ჩვენ ვართ ქალები,
 მამაკაცებთან არ გვშეენის ბრძოლა,
 ძლიერის ხელში თუ ვიმყოფებით,
 გვმართებს სიჩუმე და თან მიყოლა:
 შენდობას ვითხოვ ღმერთთა წინაშე,
 თუ შემცდარი ვარ და შემცოდველი,
 მაგრამ ეს ბრძოლა მართებლობასთან
 საშიშია და შეუძლებელი.



ანტიგონე

მე დახმარება არ მინდა შენი,
 თუნდაც გინდოდეს ეს დახმარება;
 შენ შენთვის იყავ, მე ჩემსას ვიზამ—
 და მკვდარი მიწას მიებარება.
 რა კარგი არის მაშინ სიკვდილი,
 თუ შევასრულე ეს წმინდა ვალი.
 მერე დე მოვკვდე და სამუდამოდ
 საყვარლის გვერდთ დავხუჭო თვალი:
 მერწმუნე, დრო ის უფრო გრძელია,
 რაც რომ იწყება სიკვდილის მერე.
 მე იქ ვიქნები, შენ—აქ იყავი,
 ჰგმე ცა და ქვეყნად იბედნიერე.

B.T.I.T.

ისმენა

მე ცას არა ვგმობ! ვერ აღვუდგები
 მხოლოდ კანონს და მის ბრძანებასა.

ანტიგონე.

იმართლე თავი! მე კი წავალ და
 დავასაფლავებ ძვირფასსა ძმასა.

ისმენა

მე ბედი შენი მაშინებს, დაო!

ანტიგონე.

ჩემზე ნუ ჰზრუნავ, თავზე იზრუნე.



ისმენა

არსად სთქვა მაინც ეს საიდუმლო,
მეც შევინახავ იმას, მერწმუნე.

ანტიგონე

არა, წადი და ყველას უამბე,
თუ არა—უფრო შემეზიზღები.

ისმენა

გული ფიცხი გაქვს და ეს სიფიცხე
შენს საქმეს ნაკლებ შეეფერება.

ანტიგონე.

ეს ფიცხი გული ძვირფასსა მკვდარსა,
იცოდე, უფრო მოეწონება.

ისმენა

თუ მიზანს მისწვდი.— ხოლო მიზანი
საშიშია და მიუწვდენელი.

ანტიგონე

შევსდგები, როცა ვერრას გავაწყობ.

ისმენა

არა სჯობს სულ რომ აიღო ხელი?!
ანტიგონე

ანტიგონე

თუ არ შესწყვიტე ეს ლაპარაკი,
იცოდე, უფრო თავს შემაძლებ,
და მიცვალებულ ძმისაგან ზიზღსა
სამართლიანად დაიმსახურებ.
კმარა, ისმენა! მომეცი ნება



თვით გავიარო გზა ეს კლდოვანი;
 სხვა რომ არ იყოს, სიკვდილი ჩემი
 იქნება მაინც სახელოვანი.

ისმენა

კარგი, შესრულდეს განზრახვა შენი,
 დეღვა გულისა დაუდევარი,
 და საყვარელი საყვარელთ შორის
 დარჩები—ტკბილად მოსაგონარი.

ხორო.

(შესდგება 15 კაცისაგან; წარმოადგენენ თების
 დიდებულ მოქალაქეთ. მდურთან გამარჯვების
 სადღესასწაულად).

სტროფა პირველი.

მზისა შუქო, შუქო წმინდა,
 მშვენიერი, მადლიანი,
 შენ აინთე - და გაბრწყინდა
 თები შვიდ-კარებიანი;
 დირკეიის ტალღებიდან
 შენ, თვალეზო ოქროს დღისა,
 გამოჩნდი და ჩვენი მხრიდან
 განაზნიე ჯარი მტრისა.

პოლნიკემ მრისხანებით
 თავს დაგვასხა უცხო ჯარი,
 ფაფრებით და ფარ-ჯავშნებით
 შემკული და მოელვარი.



მის საექვო უფლებითა
 ბრაზმორეული მეომარი,
 თავს დაგვეცა ღრუბლებიდან
 არწივისა დასადარი.

ანტიტროფა პირველი.

დადგა ის წინა,
 შეზღუდა შუბით
 თები მან შვიდი კარებიანი.
 მოიწადინა
 სისხლისა გუბით
 შედებვა, მაგრამ გულ-დარდიანი
 უკან წავიდა.

ვერ შესვა სისხლი-საძაგელ ყბებით,
 და კოშკებს ცეცხლი ფიქვის მუგზლებით
 ვერ წაუკიდა.

უცებ არესმა დაიხმაურა
 მის ზურგის უკან ზათქით და ზარით,
 ზევსმა დიადმა, იხილა თუ რა,
 ქალაქს რომ იგი მოაწვა ჯარით,
 ამპარტავენობა
 და მეტიჩრობა

რომ შეეწყვიტა თავგასულისა,
 დასცა მას ელვა,—
 და შესწყდა დელვა

მის გამარჯვება-სიხარულისა.



სტოჯა მეორე.

წაიქცა იგი, გაგორდა ქვევით
 აქ მოვარდნილი, ვით ქარიშხალი.
 დიდმა არესმა, მძლეველმან მძლეთა,
 იმისი რაზმებს დაუწყო ფლეთა
 და შედრკა მტერი. —

ეცვალათ ფერი

შვიდივე სარდალთ, შვიდ კარებთანა,
 გამაგრებულთა პირის-პირადა,
 და იარაღი, რაც ჰქონდათ თანა,
 ზევსს დაუტოვეს შესაწირადა.

გაიქცა ყველა.

მხოლოდ კი შველა

ერთი დედ-მამის ორ საწყალ შვილსა
 არა მიეცა:

ძმა ძმასა ეცა;

ხმალ-ამოწვდილი ხმალ-ამოწვდილსა,
 ორივე დარჩნენ გამარჯვებული:
 ხმალმა ორთავეს გაუბო გული.

ანტისტოჯა მეორე.

ქალაქი ჰხარობს... აღელვებულა
 იგი სამხედრო ეტლების ქროლით,
 ნიკე თვითონვე მობრძანებულა,
 ღმერთი, დამტკბარი წასრული ბრძოლით.
 ეხლა ტაძრისკენ! — აბა საჩქაროთ

მღერა, თამაში
გავმართოთ მაში

გათენებამდე დრო გავატაროთ.

ბახუსი, ცეკვით დაუცხრომელი,

იყოს შემწე და წინამძღობელი.

მაგრამ კრეონი აქ მობრძანდება
მენოიკის ძე, ჩვენი მფლობელი,
სათათბირო რამ სწორედ ექნება,
რჯულისმებრ იმას მოსაწყობელი.
აღბად ამიტომ თუ მან ინება
შიკრიკებითა ჩვენი შეკრება?

კრეონი.

მოქალაქენო! ჩვენ განვიცადეთ

ბევრი შიში და არეულობა,

მაგრამ ღმერთებმა კვლავ დაგვიბრუნეს

მყუდროება და მხიარულება.

დღეს მოგიწვიეთ შიკრიკებითა,

რათა გაუწყოთ სურვილი ჩემი:

ვიცი, რომ ტახტი ლაიოსისა

თქვენთვისა იყო პატივსაცემი;

ერთგულნი მუდამ იყავით თქვენა

ედიპის — ჩვენი რომ იყო მხსნელი, —

მის შვილების წინ გამოიჩინეთ

კვლავ ერთგულება შეურყვეველი.

შემდეგ, იგინი რომ დაიხოცნენ —

გადაწყვეტილიმც აგრე ყოფილა—
 ერთ და იმავ დღეს, ერთ ბრძოლის ველზე,
 ერთი მეორით ლახვარ-სობილი,—
 მათი ტახტი და უფლება მათი
 ჩემზედ გადმოდის მემკვიდრეობით,
 ვინაიდგან მე იმათთანა ვარ
 უახლოესი ნათესაობით.

ძნელია მეტად გაცნობა კაცის,
 მისი აზრის და მისწრაფებისა,
 სანამდე შრომა მას არ ერგუნა
 კანონ-მდებლის და მართველობისა.
 არ ვარგა მეფე, თუ მას მიზანი
 ქვეყნის წინ-სვლაში არ ეგულება,
 და შიშის-გამო რომელისამე
 ვერ გაუცია განკარგულება.
 არ ვარგა კაცი—მე ის არ მომწონს,
 არც არასოდეს მომეწონება—
 თუ მეგობარსა მალლა აყენებს,
 ვიდრე სამშობლოს მისი გონება.
 მოქალაქონო! რაც შემეხება
 მე—ხედავს ზევსი გულთა მხილავი—
 არ შეიძლება, თუ გვიჭირს რამე,
 მოვისვენო და ჩავკიდო თავი;
 არ შეიძლება, რომ გავიხადო.
 მეგობრად ჩემი მამულის მტერი.

სიციცხლეს გვაძლევს სამშობლო მხოლოდ,
მას უნდა ვუძღვნათ სუყველაფერი.

აი ის აზრი, რასაც მე მივსდევ,
რომ ავაყვავო სამშობლო თემი.
ეხლა ედიშის შვილთა შესახებ,
ია ეს არის ბრძანება ჩემი:
ეტეოკლს, მებრძოლს შეუდარებელს,
რადგანაც სამშობლოს შესწირა თავი,
ეცეს პატივი და დიდებულად
შემკული იქმნას მისი საფლავი.
ხოლო მისი ძმის, რომელსაც სურდა,
რა რომ დაჰბრუნდა უცხო მხრიდანა,
შეესვა სისხლი მოძმეთა თვისთა
და გადაეწვა მთელი ქვეყანა,
სურდა შებყრობა მოქალაქეთა,
წმიდა ტაძრების გაცამტვერება,—
ვაფრთხილეთ ყველას: არვინ გაჰბედოს
მის ტირილი და დასაფლავება!
ის უნდა დარჩეს დაუმარხავი,
ეგდოს ველზედა დახიჩრებული,
დე—დაეხვიოს ყორანი, ყვავი
და ძაღლის ხროვამ უძიძვნოს გული.
ასეთი არის ბრძანება ჩემი
და სცნოს ყველამა, ყველამ გაიგოს,
რომ მამულისა მოღალატემა



უკეთეს ძეგლი აქ ვერ აიგოს.
 მხოლოდ მოყვარე სამშობლო მხრისა,
 მხოლოდ იმისთვის თავ-დადებული,
 სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ
 ერთგვარ იქნება პატივცემული.

ხორო.

ნება არს შენი, მენოიკის ძევ
 კრეონ—დასთრგუნო მამულის მტერი
 და აღამაღლო მოყვარე მისი.
 შენ ხელთ გიბყრია უფლება სრული.

კრეონი.

თქვენ აღასრულებთ ჩემსა ბრძანებას.

ხორო

მეფევ მიანდე ეგ სამსახური
 უფრო ჯეელებს.

კრეონი.

ბ. ტ. დ. გ.

მზადა არიან
 დარაჯნიც, რომა ცხედარს თვალყური
 კარგად ადევნონ.



ხორო.

მაშ რას გვიბრძანებ?

კრეონი.

თქვენცა ედევნოთ თვალი, თუ ვინმე
 ჩემსა ბრძანებას წინ აღუდგება.

F19.338
2





ხორო.

ვინ არის ისე გადარეული,
აბა სიკვდილი ვის ენატრება?

კრეონი.

სწორედ ეგ არის სასჯელი! მაგრამ
მტერი, ხომ იცით, მტერი—ფულია.
მისგან აშლილი იმედებითა
რამდენი კაცი დაღუპულია.

(შემოდის დარაჯი)

დარაჯი.

მეფევ, ვერ ვიტყვი, რომ ჩქარი ფეხით,
რომ სირბილითა ეხლა გხლებოდე;
გულს ბოდმე მაწვა და წამდაუწუმ
გზაზედ სულ უკან ვიხედებოდი.
ბევრჯერ გაქცევაც მინდოდა უკან,
მწუხარე გული შიშით მითრთოდა,
„სად მიეთრევი, შე საცოდავო,
რა სიტყვა მიგაქვს?—მეუბნებოდა—
დაბრუნდი უკან... მაგრამ კრეონი?
სხვამ-რომ გადასცეს ეს ამბებიო?
რას იზამ მაშინ, შე უბედურო,
რისხვასა როგორ გადურჩებიო?!“
ამ ფიქრში ვიყავ, ვიდოდი ნელა,
აგრე მოკლე გზაც გამოჩნდა. გრძელი,
ბოლოს კი მაინც აქით წამოსვლამ

ვაიმარჯვა და მეც გეახელი.

ამით არ მინდა რამე ვსთქვა, მაგრამ
მანც კი ვიტყვი... აკი მოვედი!
და შენს რისხვასა, ჩემო—ხელმწიფე,
იმედი მაქვს, რომ ამაცდენს ბედი.

კრეონი.

სთქვი რაშიგან ვართ? რისი გაქვს შიში?

დარაჯი.

ჯერე ჩემ თავზე მე მოგახსენებ:
მე არაფერი ჩამიდენია,
არც ვიცი—ვინც ჰქნა... და თუ, მეფეო,
უბრალოდ დამსჯი... ნება შენია.

კრეონი.

კარგად დაიწყე! ექვი არ არის,
არ ხარ სიკეთის მახარობელი.

დარაჯი.

შიში ენასა მიბამს უბედურს.

კრეონი.

იტყვი თუ არა, რაც გაქვს სათქმელი?!

დარაჯი.

ჰო, ვიტყვი, რავექნა?—ვიღაც მოსულა,
დაუმარხია მიცვალებული,
ზედ მშრალი ქვიშა გადაუყრია,
სულ ისე, როგორც მოითხოვს სჯული.



კრეონი.

რას მეუბნები? ეს ვინ გაბელა?

დარაჯი.

რა მოგახსენო?! იქ არ მინახავს
 არცა ნაჯახი, არც ნიჩაბ-ბარი,
 მიწა ხმელია და ისევ სწორი,
 არ არის ბელტიც ამონათხარი.
 არც ეტლის კვალი, არცა ურმისა,
 ვერც დამნაშავეს მოვკარით თვალი.
 ეს რომ დარაჯმა შეგვატყობინა,
 ჩვენ დავრჩით ყველა განცვიფრებული.
 გვამი არ სჩანდა სრულებით, თუმცა
 არ იყო მიწას მიბარებული;
 ზევიდან მხოლოდ ქვიშა ეყარა
 ნიშნად ლოცვის და წესის აგების,
 სხვა—არც მხეცისა, არცა ძაღლების
 კვალი არ სჩანდა.—ერთმანეთ-შორის
 ჩვენ იმ წამს დავა ავტეხეთ ცხელი,
 კინალამ მუშტიც დავატრიალეთ,
 არავინ იყო გამზავებელი.
 უთუოდ ერთი ვინმე ჩვენგანი
 დამნაშავეა—ვამბობდით ჩვენა,
 მაგრამ ვინ იყო, ჩვენ არ ვიცოდით,
 ძნელი გაგვიხდა მის აღმოჩენა.
 ჩვენ მზათ ვიყავით ყველა ღმერთები



განსამართლებლად გვემოწმებინა,
 ცეცხლში ფეხშიშველ გავსულვიყავით,
 ხელში აგველო მხურვალე რკინა,
 რომ ჩვენ არა ვართ ბოროტ-მოქმედი,
 ჩამდენი საქმის, ამ საშინელის,
 არც მოზიარე ვყოფილვართ მისი
 გამძრახნელის და ამსრულებელის.
 ბოლოს, როდესაც ვერ-რა გავაწყეთ
 და ვერაფერი გამოვიგონეთ,
 ერთმა გვირჩია—და ამ რჩევასთან
 ყველამ შიშითა თავი ჩავლუნეთ—
 გვირჩია:—ჩვენა არა ვიცი-რა
 და ვერაფერიც მოვაგვაროთო,
 სჯობია მეფეს სულ მოვახსენოთ
 და არაფერი დავუფაროთო.
 ეს რჩევა მაშინ მიღებულ იქმნა,
 წილი ვყარეთ და მე მერგო წილი.
 და აი მეცა, ჩემდა უნებურ,
 შენ წინა ვდგევარ მუხლ-მოღრეკილი.
 მე თვითონ ვიცი—არავის უნდა
 გახდეს ცუდ ამბის მახარობელი.

ხორა.

მეფევ, მე ფიქრნი მომდიან თავში,
 ხომ არ სჩანს აქა ღმერთების ხელი?



კანონი.

ჩუმად იყავი! ნუ გამაბრაზებ!
 ბებერო, მგონი ჭკუა გაქვს თხელი!
 რას ჰბოდავ, როგორ აღმოაჩინე
 ამ შემთხვევაში დვთაების ხელი?
 ნუთუ ღმერთები მასზე ჰფიქრობენ
 და უნდათ მისი დასაფლავება,
 ვინც შემოიქრა, როგორცა მტერი
 და ცეცხლით სურდა გაცამტვერება
 მათი ტაძრების, ქანდაკებების,
 ქვეყნის, სჯულისა და კანონების?!
 ნუთუ გგონიათ, რომე ღმერთები
 პატივსა სცემენ ბოროტთ და ორგულთ?!
 ეს—სიცრუეა!.. მაგრამ ზოგიერთ
 მოქალაქეთა არ მოსწონთ და სძულთ
 შემოღებული ჩემგან კანონი;
 მითქმა-მოთქმა აქვსთ, ჩუმჩუმად მსჯიან,
 ჩემი ნების წინ ქედს არ იხრიან
 და მიპირობენ ურჩობას, მგონი.
 ეხლა კი მესმის! ამ საქმისთვისა
 დარაჯი სწორედ შესყიდულია!
 არ მოვლენია ქვეყანას ჯერე
 ისეთი ქირი, როგორც ფულია.
 იგი ქალაქებს ანგრევს და იკლებს,
 სამშობლო მხრიდან აძევებს გმირსა,

გული წმინდა და კეთილშობილი,
 მისგან გარყვნილი, ემხოზა ძირსა-
 იგი უნათებს ადამიანსა
 გზას ლალატის და ცბიერებისა,
 და გაუგებარს გააგებინებს
 მხარეს სიბილწე—მაცდურებისა.
 მაგრამ სასჯელი მას არ ასცდება,
 ვინც ჩაიდინა დანაშაული.
 ზევესსა ვფიცავ—და ფიცი ესე
 იქნება მკაცრად ასრულებული—
 თუ დამნაშავე არ გიპოვნიათ,
 არ მოგიგვრიათ ჩემ თვალთა წინა,
 მე ჯოჯოხეთსა კი არ გაკმარებთ,
 ჯერ სახრჩობელა, ჯერ ცხელი რკინა
 თქვენ დაგასწავლისთ, თუ როგორ უნდა
 და რა გზებითა ფულის მოგება.
 მიხვდებით მაშინ—ანგარა კაცი
 რა ნეტარებას ფულითა სწვდება!

დარაჯი.

ნება მიბოძე გკადრო, მეფეო.

კრეონი.

კმარა! არ ჰხედავ, მწყინს შენი ენა?

დარაჯი.

რა შეგიწყინე: გული თუ სმენა?



კრეონი.

რა გინდა მითხრა? რას ჰბოდავ კიდე?

დარაჯი.

მოამბე მხოლოდ სმენას შეგიწყენს,
გულსა კი—მხოლოდ ბოროტმომქმედი...

კრეონი.

კმარა, გაჩუმდი! ყოფილხარ ყბედი.

დარაჯი.

არა, ხელმწიფევე, მე მართალი ვარ.

კრეონი.

მაინც ჩაიდე ჯიბეში თული!

დარაჯი.

ვაიმე, რაექნა, რით დავაჯერო
აზრი, ეჭვებით გატაცებული!

კრეონი.

რაც გინდ იფიცოთ,—ეხლავე, დღესა,
თუ დამნაშავე აქ არ მომგვარეთ,
ეს ანგარება ჩაგივლისთ მწარედ—
იცოდეთ ესა! (გადის)

დარაჯი.

ნეტა იპოვონ ის დამნაშავე
და აქ მოჰგვარონ—ოჰ გვიხსენ, ბედო.
მე კი გადავრჩი დაუხჩობელი;



წავიდე, უკან არ მოვიხედო,
 და ცას შევწირო მადლობა წრფელი.
 (გადის).

ხორო.

სტროფა პირველი.

ქვეყნად ბევრ არს ძალა დიდი,
 კაცს კი მათი არაქვს რიდი,
 თვითონ არის მძლეთა მძლევვი;
 ქარსა აპობს, ზღვას იმონებს,
 მიჰქრის მხნე და ვერ აღონებს
 ზვირთი-ზვირთზე დანანგრევი.

იგი გუთნით დასტრიალებს
 ნოყიერსა ველს და ქალებს,
 თან გამოჰყავს საქონელი;
 დედამიწას, ღმერთსა მშობელს,
 დაულალავს, კეთილ-მყოფელს,
 ჰხნავს და ჰბარავს ყოველ წელი.

ანტრისტროფა პირველი.

ტყეში მხეცსა გარეულსა,
 თევზსა, ზღვაში არეულსა,
 ფრინველებსა მალლა-ცაში,
 ყველას იგი იქერს ბადით
 და გონება სიდიადით
 ინთება და ჰბრწყინავს მაში.



მთისა ნადირს აბა რომელს,
 კლდედან კლდეზე მარდად მხტომელს
 ააცდინა მარჯვე ხელი?
 ცხენსა გრძელ-ფაფრებიანსა,
 ხარსა მაღალ-რქებიანსა
 ხომ დაადგა მან უღელი.

სტროფა მეორე.

ქროლა სწრაფი აზრებისა
 შეიბყრო და შეითვისა,
 შეწყობილი შექმნა ენა;
 აიშენა თავსაფარი
 და ვერაფერს აკლებს ქარი,
 ვერც ყინვა და წვიმის დენა;
 ებრძვის იგი ქირს და სენებს
 და მომავალს შუქს აყენებს
 მის გონების მკვეთრი ბრწყენა.
 მხოლოდ სიკვდილს ვერ უშველა,
 სამარისკეე მიდის ყველა,
 ვერვის ძალუძს გადარჩენა.

ანტრისტროფა მეორე.

ცოდნით არის თავმომწონე,
 მაგრამ ზოგჯერ არ აქვს ღონე
 გაარჩიოს კარგი, ავი;
 ხან კანონსა კაცობრივსა,
 ხან სამართალს ღვთაებრივსა



ებრძდის მხნე და გამბედავი;
 თვითონ მეფემ, თუ მართლისა
 ქმნა ვერ შესძლო სამართლისა,
 დაიღუპა თავის თავი...

ნუ გვექნება იმასთანა
 საზიარო ტყე და ყანა,
 შორს ჩვენგანა დამნაშავე.

ხორო.

ამას რას ვხედავ, რაშვენებას?!
 ოჰ ანტიგონე.

ნუ თუ შენ მეფეს, მის ბრძანებას,
 არ გაუგონე?

ნუ თუ შეგიპყრეს დარაჯებმა,
 მწუხარე სულო,

ედიპის დიდის, წამებულის,
 ტურფა—სულო?!

დარაჯი.

აი ეს გახლავს ის დამნაშავე,
 ვინც გადალახა მეფის კანონი.
 ჩვენ შევიბყართ იგი, ეს არის...
 სადა ბრძანდება მეფე კრეონი?

ხორო.

აი, გამოდის სასახლიდანა.

კრეონი.

რა მოხდა კიდევ? ვინ მიხსენიებს?



დარაჯი.

მეფევ, ყოველი ადამიანი
 უნდა ფიცს ხოლმე ერიდებოდეს,
 აზრი ახალი უწინდელს არღვევს,
 რაც გვიდ ნამდვილად გვეჩვენებოდეს.
 მე ფიცი დავდე, რომ აქ არ მოვალ
 შენი რისხვითა შეშინებული,
 მაგრამ დავბრუნდი, როგორცა მხედავ,
 მოულოდნელად გახარებული.
 მომიყვანია ყმაწვილი ქალი,
 იგი შევიპყარ სწორედ იმ დროსა,
 როცა ამკობდა მწარედ მტირალი
 იმ აღკრძალულსა სასაფლაოსა.
 ეხლა მე მოველ ჩემის ნებითა
 და მე მეკუთვნის ეს სამსახური;
 აწ შენ, მეფეო განასამართლე,
 როგორც გენებოს, ეს უბედური.
 მე გამოვდივარ ბოლოს მართალი.
 მე არაფერში მიმიძღვის ბრალი.

კრეონ.

სად დაიჭირე და როგორ?

დარაჯი.

ამან

დაასაფლავა... ამის ბრალია.



კრეონ.

შენ კარგად გესმის, რასაცა ამბობ,
და ამბობ იმას, რაც მართალია?!

ღარაჯი.

მე თვითონ ვნახე—ასათფლავებდა
ცხედარსა იმას, შენ რომ აღკრძალე.
მე ამას ვამბობ.

კრეონ.

სთქვი, როგორ ჰნახე?
როგორ შეიბყარ? მითხარი მალე.

ღარაჯი.

აი, მეფეო: რომ გავიგონეთ
ის საშინელი უენი მუქარა,
წავედით და ზედ დაყრილი ქვიშა
გადავაცალეთ ცხედარსა ჩქარა;
დავტოვეთ მინდვრად მერე ცხედარი,
თითქმის გახრწნილი, გაშიშვლებული,
და რომ ჩვენამდე არ მოეტანა
ნიაფსა სუნი აყროლებული,
დავჯექით მთაზე და იქიდანა
ცხედარს დავუწყეთ ჩუმად თვალ-თვალი.
მზემ ცის შუაგულს რომ მიატანა
ავარდა ქარი, იწყო გრიალი,
მიღეწ-მოღეწა ხისა შტოები
და მტვრისა ბუქით აგვიფსო თვალი.

დიდხანს ვიყავით თვალდახუჭული,
და ბოლოს, როცა შინელდა ქარი,
ვხედავთ—ცხედარზე ეგ დახრილ იყო,
სდიოდა მასა ცრემლისა ღვარი.
ჰწიოდა იგი, როგორც ფრინველი,
საცოდავად და გულსაკლავადა,
როცა ის ბუდეს ცარიელს ჰხედავს
და ბარტყებს გამქრალს, არ იცის, სადა.
აგრე ამანაც, რომ დაინახა
ცხედარი ისე შეგინებული,
იწყო ტირილი, მოთქმა და წყევლა,
რომ შეუგინეს მიცვალებული.
ქვიშა მუჭითა მოარბენინა,
ცხედარზე მშრალად ზედ დასაყრელი,
მერე სპილენძის წვრილი დოქიდან
სამჯერ აპკურა საპკურებელი.
რომ დაეინახეთ, ჩვენ გავექანეთ
და დაეიჭირეთ, მაგრამ ასული
იდგა და ჩუმად ცრემლსა აფრქვევდა
სულაც არ იყო შეშინებული.
უწინდელი და ეხლანდელიცა
იმან სცნო თვისი დანაშაული,
მე გამიხარდა, რომ სულ იკისრა,
და თანაც სევდით მეწვოდა გული.
მიხაროდა, რომ სიკვდილს გადავრჩი,



და ვსწუხდი მიტომ, რომ სასაფლაო
 ამ საწყალს ერგო სიყვარულის წილ...
 მაგრამ რა ვქნა?! ჯერ—თავო და თავო...

კრეონი.

შენ, თავი რომა ჩაგიღუნია,
 შენ გეკითხები: მართალი არის?

ანტიგონე.

სულ მართალია, მე დავარღვიე
 ბრძანება შენი—კანონი მხარის.

კრეონი. (ღაწაწეს).

წადი, შენა ხარ გამართლებული.
 (ანტიგონეს)

შენ კი მითხარი სიმართლე სრული:
 იცოდი შენა ჩემი ბრძანება?

ანტიგონე.

ვიცოდი, რად არ მეცოდინება,
 მთელმა ქალაქმა იცოდა, მგონი.

კრეონი.


და დაარღვიე მაინც კანონი!?

ანტიგონე.

შენსა კანონში არა სჩანს ნება
 დიდი ზევესის, არცაღა სჯული,
 საიმქვეყანო სამართლის მიერ
 აქ, კაცთაშორის, დაწესებული.
 მე არ მეგონა, შენსა ბრძანებას



თუ ექნებოდა ისეთი ძალა,
 რომ სხვა კანონი, თუმც დაუწერი
 მაგრამ უკუნი—გამოეცვალა.
 კანონი იგი დღეის კი არა,
 არც გუშინდელი შონაგონია,
 იმის ძალასა არა აქვს ბოლო,
 დასაბამიცა არა ჰქონია.
 სიკვდილის შვილი ვერ შესცვლის იმას,
 მეც იმისი მაქვს კრძალვა და რიდი,
 პასუხსა ვაგებ ღმერთთა წინაშე,
 შენი კი შიში არა მაქვს დიდი.
 მიწისშვილი ვარ—ეს კარგად ვიცი
 და უშენოდაც უეჭველია,
 ვინცა დღესა ჰლევს მწუხარებაში
 მისთვის სიკვდილი—სასურველია,
 დამწვარი ჩემებრ და ბედით კრული
 არაფერს ჰკარგავს სიკვდილისგანა,
 იგი შევებასა მხოლოდ შეიძენს,
 და მე ამ ბედსა გავუბი განა?
 მაგრამ ძმა ჩემი, ერთ დედის შვილი,
 რომ დამერჩინა დაუმარხავი,
 ეს დამრჩებოდა სასინანულოდ
 და სასირცხვილოდ—ცოცხალი თავი.
 ეგ არის.—ეხლა ფრთხილად იყავი,
 არ ჩაიდინო უგუნურება.





ხორო.

ქალს მამის სული გამოჰყოლია,
მას არ აშინებს უბედურება.

კრეონ.

მაგრამ ჯიუტის მორჯულებაცა,
მე დამერწმუნეთ, არ არის ძნელი,
მაგარი რკინა ცეცხლში რბილდება
და იღუნება მოუღრეკელი,
ცხენსა ურას და გადარეულსა
ჰხედნიან ხოლმე პატარა ლაგმით.
ურჩობა იმას არა შეჰფერის,
ვინც სხვის ხელშია სიტყვით და საქმით.
გესმის? ჯერ ერთი—შენ დაარღვიე
დამტკიცებული ჩემგან კანონი,
მერე მოდიხარ, ჰტრაბახობ ამით,
დამცინი კიდევ მეფესა, მგონი.
მაშ მამაკაცი მე არ ვყოფილვარ,
თუ ქალურ გრძნობას მივეცი გული,
და თავგასულსა მკაცრი სასჯელით
არ გაზღვევინე დანაშაული.

—დისწული არა, თუნდაც რომ იყოს
ის ნათესავი უახლოვესი,
მფარველობის ქვეშ დიდი ზევების,
რომელმან ოჯახს დაუღვა წესი,
მაინც სასჯელი მას არ ასცდება
საშინელი და აუტანელი,
მასთან—იმასაც, მის ღვიძლსა დასა,
რომელმაც ალბად შეუწყო ხელი.
სად არის იგი? მიხმეთ ისმენა,



სასახლეს შიგან ის ეხლა ვნახე,
 სტირის და ჰგოდებს და ფერწასულსა
 აღამიანის არ ადევს სახე.
 აგრე ჩამდენი სიავის ხშირად
 მისდაუნებურ გამომტყდარია.
 ბოროტმომქმედი, გულს რომ არ იტებს,
 მე მგონი, უფრო საზიზღარია.

ანტიგონე.

გინდა კიდევ რამ, სიცოცხლის მეტი?
კრეონ.

სხვა არაფერი, სიცოცხლე კმარა.
ანტიგონე.

მაშ რას უყურებ, წაიღე ჩქარა,
 რალა გაქვს კიდევ გადასაწყვეტი?
 მე არა მომწონს შენი სიტყვები
 და ჩემი შენ არ მოგეწონება;
 ვის რალად უნდა—უბრალო დავით
 რომ ვაფარჯიშოთ ჩვენი გონება?!
 მე ძმა ძვირფასი დავასაფლავე,
 და ეს მეყოფა სასიქადულოდ.
 ჰკითხე ე მაგათ, ვინც აქ შეყრილა,
 დამეთანხმება ყველა მგონია,
 რომ ეს ვითომდა დანაშაული
 მშვენიერი და მოსაწონია;
 მაგრამ ამის თქმას ვინა გაჰბედავს.
 ვინ არის თავზე ხელადებული?
 ლაპარაკის და მოქმედებისა
 მტარვალსა მხოლოდ ნება აქვს სრული.

კრეონ.

აგრე შენ ჰფიქრობ.

ანტიგონე.

არა, ყველანი,
მხოლოდ დაებათ შიშითა ენა.

კრეონ.

შენ კი აუშვი... არა გრცხვენია?!

ანტიგონე.

ძმას პატივ-ვეცი მიცვალებულსა,
ნუ თუ ამაში არის შერცხვენა?!

კრეონ.

განა მეორე ძმა კი არ იყო?
ისიც ხომ მოჰკვდა და მიისვენა.

ანტიგონე.

ძმა იყო.

კრეონ.

ერთის პატივისცემით
რად მიაყენე მეორეს წყენა.

ანტიგონე.

ამას შემინდობს მე იმის სული.

კრეონ.

როგორ? ბოროტსა თუ დაადარე?!

ანტიგონე.

უცხო არ იყო მიცვალებული,
იგი ძმაა და ძმად ვილიარე.

კრეონ.

ერთსა სწყუროდა ქვეყნის აკლება,
და მეორეს კი მის ხსნა და შველა.



ანტიგონე.

თანასწორია საფლავში ყველა.

კრეონ.

მაგრამ ბოროტს და კეთილ-მომკმედსა
არ უნდა ჰქონდესთ საწყაო ერთი.

ანტიგონე.

ვინ იცის, რაა საიქიოში,
ან თუ როგორ სჯის ჰაიდის ღმერთი.

კრეონ.

მტერი მტრად რჩება სიკვდილის მერე,
მიწა ვერა ჰშლის იმის წარსულსა.

ანტიგონე.

მე სიძულვილი არ შემძლია
სიყვარულისთვის დაბადებულსა.

კრეონ.

მაშ წარბძანდი და საიქიოში
შეიყვარე, ვინც მოგეწონება,
აქ კი დედაკაცს, სანამ ცოცხალ-ვარ,
არ ეღირსება გაბატონება.

ხორო.

აი, კარებში ისმენა,
აქედ გამოდის წყნარადა;
თავის დის ბედსა დასტირის,
კრემლი ჩამოდის ღვარადა,
სევდა გულს შემოწოლია



შავი ღრუბლისა გვარადა,
 გასწითლებია ლოყები
 ვარდისა დასაღარადა.

კრეონ.

—გველო, განა შენც შემოსრიალდი
 ჩემი სიცოცხლის მოსაწამლავად?
 რას ვიფიქრებდი, რომ გველებს ვზრდიდი
 ჩემი ტახტისა დასალუპავად!
 მითხარ, შენც იყავ მის მოზიარე
 და დამარხვაში ეხმარებოდდი,
 თუ ფიცს მოჰყევები, რომ მართალი ხარ
 და არაფერი შენ არ იცოდნი?

ისმენა.

დამნაშავე ვარ, თუ ის მიმიღებს,
 და მასთან ერთად შედება ბრალი.

ანტიგონე.

შენ მოზიარე არა ხარ ჩემი
 და არ მიგიღებს თვით სამართალი.

ისმენა.

ძმის სიყვარული მეცა მაქვს გულში
 და მეც მოვკვდები.

ანტიგონე.

არა, ისმენა,
 მე სიყვარულსა საქმით ვამტკიცებ
 და არა სიტყვით, როგორცა შენა.

ისმენა.

ძვირფასო, ამას ნუ მიშლი მიინც,
ამ სიკვდილისა მომეცი ნება.

ანტიგონე.

შენ ამ საქმეში არ ურევიხარ
და იგი მარტო მე შემეხება.

ისმენა.

—უი, უშენოდ ჩემი სიცოცხლე
რა ოხრად მინდა?

ანტიგონე.

ჰკითხე კრეონსა,
შენ ხომ მისი ხარ თაყვანის მცემი.

ისმენა.

ოჰ ნუ დამცინი.

ანტიგონე.

დაგცინი, მაგრამ
გული კი მეწვის, რომ და ხარ ჩემი.

ისმენა.

რა შემძლია? როგორ გიშველო?

ანტიგონე.

შენს თავს უშველე! შენსა ყოფაში
არაფერია სახარბიელო.

ისმენა.

ვაი, ჩემს თავსა, შენთან სიკვდილის
რომ მეც იღბალი არა მქონია.

ანტიგონე.

მე სიკვდილი მსურს, შენ კი—სიცოცხლე.

ისმენა.

განა ეს ჩემგან გაგიგონია?

ანტიგონე.

შენ ემონები ქვეყნიერ კანონს,
მე ზეციერსა ვემსახურები.

ისმენა.

მაინც ერთი გვაქვს ორთავეს ბრალი,
და ერთად მოვკვდეთ უბედურები.

ანტიგონე.

კმარა, დამშვიდდი! შენ იყავ... მე კი
ძვირფას მკვდრებისკენ გავეშურები.

კრეონ.

მე მგონია, რომ ამ დათა შორის
ერთი—სულ გიჟი დაბადებულა,
მეორემ—ეხლა დაჰკარგა ჭკუა.

ისმენა.

მეფევ, სევდა ჰცვლის სულსა და გულსა,
ტანჯვა ჰყოფს ხოლმე გონებას შუა.

კრეონ.

შენსა გონებას!.. აბა სიკვდილი
გონიერს რომელს მოენატრება?



ისმენა.

თუ და ძვირფასი არ მეყოლება,
ჩემი სიცოცხლე მაშინ მწვარია.

კრეონ.

ცოცხალთა შორის იგი არ არი,
ნუ იხსენიებ, იგი მკვდარია!

ისმენა.

ნუთუ საცოლეს მოუკლამ შეილსა,
მას, ვინც გირჩევის სიცოცხლეზედა?

კრეონ.

ქალსა ყოველთვის იშოვის კაცი,
სხვა მინდორს მოხნავს გუთნისა დედა.

ისმენა.

ვერა, მერწმუნე, ვერსად იპოვოს
ისე ტკბილი და გულისა ტოლი.

კრეონ.

ნებას არ მივცემ, რომ ჩემმა შეილმა
ასე ბოროტი შეირთოს ცოლი.

ანტიგონე.

ჩემო ძვირფასო, საბრალო გემონ,
ჰხედავ, მამასაც არ ებრალები.

კრეონ.

ჩუმად იყავი, ნუ გამაგონებ,
ვისა და როგორ ეტრფიალები.



ისმენა.

შენ გაპყრი იმათ?

კრეონ.

სიკვდილი გაპყრის.

ხორო.

მაშ სიკვდილია გადაწყვეტილი?

კრეონ.

გადაწყვეტილი! ჰეი, დარაჯნო,
დაუყოვნებლივ ორივე ქალი
წაიყვანეთ თქვენ სასახლის შიგან
და ორთავეზე გექიროსთ თვალი:
შიშმა გაქცევა სიკვდის წინა
მამაცსაც ბევრსა აფიქრებინა.

ხორო.

სტოფა პირველი.

ნეტარ არს კაცი, ვინც გაატარა
მშვიდობიანად წუთი სოფელი,
მაგრამ თუ გასწყრა ცისა კამარა,
არ-რა შერჩება დაუმხობელი;
ინგრევა მისი სახლი და კარი,
სამქვეყანო სიბედნიერე,
და წყრომა ცისა გულშემაზარი
მამისგან შვილზე გადადის მერე.
ამ გვარად ტალღა ჰელლესპონტისა,
ქარის გრიალით წამონავორი,

ამღვრევს ქვიშას მისი ძირისა.
მიშხუის და კლდე განაპირისა
ჰზრიალებს შორი.

ანტიტროფა მეორე.

დიდი ხანია, რაც მწუხარება
არა ჰშორდება ლაზდაკიდებსა,
ქირს ქირი მოსდევს სულ და ვაება
ვაებას, ცოდვით განადიდებსა;
ერთი შტო დარჩა, შუქი პატარა
ამ სიბნელეში,— ედიპის გვარის,
და აჰა, ეხლა ისიც გამხდარა
მსხვერპლი საწყალი ბედისა მწარის.

სტროფა მეორე.

ჰე ზევსო, კაცის გონება
შენა ვერ შეგეწონება,
შენით ნათლისა მყოფელი;
ძილი და გულმწუხარება
შენა ვერ მოგეკარება,
ვერცა დრო დაუნდობელი;
ოლიმპი დიდი— შენია,
შენ ნათლით გაგიბრწყენია
ის ტახტი მიუწდომელი.

ჩვენ კი რა ვართ? ნეტარება
არა გვაქვს და არ გვქონია.

ჩვენთვის ალბად მწუხარება
საუკუნო კანონია.

ანტიტროფა მეორე.

მაინც ტკბილი იმედები,
გულს აღერსით მონადები
გვატყუებს ჩვენ, უბედურებს;
გამოუცდელ ხშირად გულსა
გადააბნევს სიხარულსა
და ოცნებას საამურებს;
მართალია სიტყვა ბრძნული,
ოდესღაცა წარმოთქმული:
„თუ ცა რისხვით შემოგყურებს,
მაშინ ავი მოსჩანს კარგად!“
და ეს შენდა დასაკარგად
უფსკრულისკენ მიგაცურებს.

ხორო.

ჰხედავ, მეფევ, მოდის გემონ,
შენი შვილი საყვარელი,
აგონდება ანტიგონე
და ქორწილი სანატრელი,
აგონდება და ჩამოსდის,
საკოდავსა ცრემლი ცხელი.

კრეონ.

ენლავ გავიგებთ ყველაფერს... გემონ,
ძვირფასო შვილო, გეცოდინება,



რომ დღესვე შენი დანიშნულისა
 სიკვდილით დასჯა მეფემ ინება.
 ამითი, მე ვარ ღარწმუნებული,
 არ შეგეცვლება ჩემდამი გული.
გემონ.

შენი ვარ, მამავ! კეთილის რჩევით
 შენ წარმიმართავ სიკეთის გზასა,
 საცოლეს გამო შენი წინაღმდეგ
 არ ამოვიღებ არასდროს ხმასა.
კრეონ.

კეთილ არს, შვილო, განზრახვა შენი.
 შვილი მით არის—მოსანატრელი,
 რომ მტერსა მტრობა გადაუხადოს,
 მოყვარეს მისცეს მოყვრულად ხელი.
 მაგრამ ვისაც კი არა ჰყოლია
 შვილი მორჩილი და მოყვარული,
 იგი ჯერ გულით თვით ობოლია,
 მერე—სამასხროდ ახირებული.
 ამიტომ, შვილო, არ უღალატო
 ამ შენს აზრსა და მიმართულებას,
 ქალსა გონება არ დაუმონო
 და საექვოსა მის ერთგულებას.
 დიაცი ავი — ქირია მხოლოდ,
 სჯობს დაივიწყო მის სიყვარული,
 დეე ჰაიდის სამეფოშია

მან სხვას მიუძღვნას ცბიერი გული.
მე გამოვტყეხე იგი საჯაროდ
და დავუმტკიცე დანაშაული,
სიტყვასა ჩემსა მე არ გადვუხვევ,
იგი იქნება ასრულებული.
დღე მიჰმართოს ზევესსა-მფარველს,
განუსაჩივროს ეს განაჩენი,
მე ნათესავსაც არ დავიფარავ,
თუ დასჯას ითხოვს კანონი ჩვენი.
შინაურ საქმის წარმოებაში
გაფრთხილებული ადამიანი,
არის სამეფოს საქმეებშიაც
გონიერი და სამართლიანი.
მაგრამ ვინცა კი მეტიჩრობითა
ყოველ კანონსა წინ ეღობება,
ის მე არ მომწონს და ჩემგან მაინც
მას არ მოელის ქებათა-ქება.
სულ სხვაა კაცი, მომქმედი კარგის,
ვინც მართებლობას არ ეცილება,
კანონს სხვა და სხვას, სხვა და სხვა დარგის,
თვითონ იცავს და ემორჩილება.
ასეთი კაცი არსად გიმტყუნებს
და მისანდობიც სწორედ აგია,
ბრძოლისა ველად რაზმს არ დასტოვებს
და შინ—ნამდვილი ამხანაგია.

უბედურება ანარქიაა!
ის ანგრევს ოჯახს, სახელმწიფოსა,
რაზმმაცა, ერთხელ მით გაღუნულმა,
კვლავ ღონე ველარ მოიკრიბოსა.
ერთი ხსნა არის—რიგი და წესი,
და აღსრულება განკარგულების.—
რაც გინდა იყოს, მე დედაკაცი
ქვეყნის მართველად არ მეგულების.
მამაკაცს უფრო შეეფერება
სამეფო საქმის მოწესრიგება.

ხორო.

თუ ღრომ მე ქკუა არ დამიბნელა,
ბრძანება შენი სიმართლე არი.

გემონ.

მამავ, ღმერთებმა მოგვცეს გონება,
უზენაესი რამ საჩუქარი.
მე ვერ გავბედავ და არცა ვიტყვი,
რომ შენ არ გეთქვას სიმართლე სრული,
მაგრამ ზოგჯერ სხვას, შესაძლებია,
მოუვა აზრი წარჩინებული.
რას ამბობს სხვაი, რა ხმაა ხალხში —
ცოდნა ამისი მეტად ძვირია;
გაგონება კი ამ მითქმა-მოთქმის
ჩემთვის არც ისე გასაჭირია.
შენთან სიტყვასა არვინ გაჰბედავს,

მე კი ადვილად მომიჰკრავს ყური,
 რომ ყველასა სწვამს, ყველას აშფოთებს
 აწ ანტიგონე დღე-უბედური.
 ამბობენ, რომ ის არ არის ღირსი
 გადაწყვეტილის მის სასჯელისო,
 ის, ვინც სჯულისმებრ დაასაფლავა
 ცხედარი ძმისა საყვარელისო;
 ვინც ძმა განგმირულ ბრძოლისა ველად
 ძაღლებს არ მისცა დასაგლეჯადო,
 იგი ღირსია პატივისცემის,
 სიყვარულის და ქების მარადო.
 აი რა ხმაა, რა მითქმა-მოთქმა,
 შენ კი მამა ხარ და მამად რჩები;
 შენი სახელი ჩემთვის განძია
 სასურველი და ფას-დაუღები.
 უეჭველია, სიმართლე იყო
 ბრძანება შენი, რაც გავიგონე,
 მაგრამ ვინ იტყვის—რომ არა ჰცდება,
 ან ამის თქმისა ვისა აქვს ღონე.
 ვინც ამას იტყვის და თავისთავი
 ჰკუთნებდა გონებით სავსე ჰგონია,
 იმას, მერწმუნე, არცა გონება,
 არც საკმარისი ჰკუთნებდა.
 სწავლა არ არის სასირცხვილო რამ,
 ჟინიანობა—საშიშარია.

ხე, თუ იხრება, თუ იღუნება,
როცა ძლიერი ნიაღვარია,
არაფერს ჰკარგავს: გადიხრება და
გაიმართება შტოებიანად,
ხოლო ხეს მაგარს, მოუდრეკელსა,
აღმოფხვრის ღვარი ფესვებიანად.
თუ მეზღვაური აფრას არ მოხსნის
და ჟინით გრიგალს გაუჯიბრდება,
ტალღა მის ნავსა გადმოაბრუნებს
და სინანული გვიან იქნება.
იყავ მოწყალე, შესცვალე შენი,
მამავ, სასტიკი დადგენილება.
მე რა უნდა ვსთქვა, ახალგაზდა ვარ,
არ მაქვს იმდენი გამოცდილება,
მაინც ვიტყვი, რომ, რუმცა დიდი გაქვს
სიბრძნე, ბუნებით მონიჭებული,
ზოგჯერ სჯობია სხვას დაუჯერო,
რჩევა მიიღო განათლებული.

ხორო

მეფევე, ამ სიტყვას ათხოვე ყური,
და შენ კი, გემონ, უსმინე მამას
ძალიან კარგად ილაპარაკეთ,
ორთავემ,—ექვი არ უნდა ამას.

კრეონ.

ბავშმა ჩვენ უნდა ქკუა გვასწავლოს?

გემონ

რა შუაშია აქ წლოვანება?
თქვენ ისა ბრძანეთ, არის თუ არა
ჩემსა სიტყვაში ქეშმარიტება?

კრეონი.

მაშ დამნაშავეთ არ უნდა დასჯა?

გემონ

დასაჯეთ, მაგრამ დამნაშავენი.

კრეონ.

ანტიგონესა...

გემონ

ბრალი არა აქვს,
დაიფიცავენ მოქალაქენი.

კრეონ.

მოქალაქეთა ფიცი თუ რჩევა
ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი.

გემონ

ეხლა შენ თვითონ ალაპარაკდი
ისე, ვით ბავშვი მცირე-წლოვანი.

კრეონი.

აქ მე ვარ მეფე, მე მხოლოდ ერთი,
და უმაღლესი მე მაქვს უფლება.

გემონ

ყველასი არის სამეფო ვრცელი,
ერთსა—არ ძალუძს დასაკუთრება.

კრეონ.

შეფე—თავია სამეფოისა,
სამეფო არის მის კუთვნილება.

გემონ

მაშ უდაბნოში საღმე იმეფე
და იქ არავინ შეგეცილება.

კრეონ.

დახე, რას ჰჩადის ქალისგულისთვის!

გემონ

თუ შენ ქალი ხარ!—მე შენზე ვიღწვი.

კრეონ.

მე კი მამტყუნებ სუყველაფერში!

გემონ

მამავ, შენ ჰცდები, მე ამით ვიწვი,
დამეთანხმება ამაში ყველა.

კრეონ.

რა შეცდომაა კანონის დაცვა?

გემონ

და რა დაცვაა — ფეხით გათელვა
კვლავ უმაღლესი კანონებისა.

კრეონ.

ოჰ, საცოდავო, მსხვერპლო ვნებისა,
ქალისა მონავ!

გემონ

თუ დავემონე



გრძნობას მაღალი სიყვარულისა,
სირცხვილი არის განა?

კრეონ.

სულ ისა,

სულ კი ის გახსოვს, სულ ანტიგონე!

გემონ

სულ შენ მახსოვხარ, სულ ჩემი თავი
და სულ ღმერთები ბნელი ქვესკნელის.

კრეონ

შენ ვერ შეირთავ იმასა, ვერა!

გემონ

მაშ მიწა იმას მარტო არ ელის.

კრეონ.

როგორ? მუქარა?!

გემონ

რა მუქარაა

უმართლო სიტყვის პასუხი წრფელი?

კრეონ.

ჩუმად იყავი, თორემ იტირებ
და გონზე მოხვალ თავ-ცარიელი.

გემონ

ოჰ, მამაჩემი რომ არა იყო,
გეტყობდი, რომ სულ დაჰკარგე გონი.

კრეონ.

რაო? ოლიმპის უკუნის მაღლმან,
მეტსა ვერ ვითმენ ამის გამგონი.

ჯარის კაცებო, აქ მოიყვანეთ
ბოროტმომქმედი დატყვევებული,
რომ აქ, ამის წინ, დაჰლიოს სული!

გემონ

არა, მამაო, ჩემი თვალები
არა ჰნახვენ სურათსა ამას,
სულ მოგშორდები და აქ დავტოვებ
მონათა შორის უგუნურ მამას.

ხორო.

მეფევე, ვით გიჟი, გავარდა გემონ,
საშიშარია ყმაწვილი გული,
მწუხარებასა ვერ იტანს იგი.

კრეონ.

დეე წავიდეს გადარეული.
მაგრამ ქალებს კი იგი ვერ იხსნის
გადაწყვეტილის სასჯელისგანა.

ხორო.

ორთავეს დასჯი სიკვდილით განა?

კრეონ.

არა, ისმენას არა აქვს ბრალი,
კარგია დროზე რომ მომავონე.

ხორო.

მეორეს?

კრეონ.

არის კლდე მიუვალი
ქალაქის გარე. - იქ ანტიგონე

ჩასმულ იქნება ბნელსა მღვიმეში,
პურიც ექნება ცოტაოდენი,
რომ შეცოდებით რომელითამე
არ წაიპილწოს ქალაქი ჩვენი.
დე იქ ეხვეწოს, ქვესკნლის ღმერთებს,
რომელთაც ეგრე ემსახურება,
და თვით გაიგებს, რომ მისი მოთქმა
საიქიოსა არ ეყურება.

ხორღ.

სტროფა პირველი.

ეროს, ჰე ღმერთო ციერო,
მომფენო სიყვარულისა,
ღმერთო მარდო და ძლიერო,
დამტყვევებელო გულისა,
სიცოცხლის გამშვენებელო,
გამკურნებელო წყლულისა,
დაწვზე რომ ხშირად ისვენებ
ქალწულის მოღალულისა.

დაჰფრინავ, ზღვაცა ვერ გიქერს
დიდი და განუზომელი,
ღარიბის ქოხში შედინხარ,
ცელქი და დაუცხრომელი,
აქ კაცი რომელ რჯულისა,
მადლა—ღვთაება რომელი,
არ იყო შენი გულისა, —
გიჟი ცრემლ-შეუშრობელი?



ანტიისტროფა პირველი.

მართალს აშუოთებ ზრახვითა,
 კეთილთანა გაქვს ცილება,
 გულში შემოგაქვს ექვი და
 ოჯახში—განხეთქილება;
 რას არ იქმს მორცხვი თვალებით
 ტურფა, ნარნარი ქმნილება?
 გულსა სწვამს იგი ალებით,
 კანონს არ ემორჩილება.

ჰე, აფროდიტავ! ძღვევითა
 შენა ვერავინ გჯობია,
 ზე ცა და მიწა ქვევითა—
 სულ შენი გასართობია.

ხორო.

ეხლა ჩვენცა ცრემლი მოგვდის,
 მეფის მიერ აღკრძალული,
 აგერ მოჰყავთ ანტიგონე
 და გვედება სიბრალული:
 საქორწინო ოთახის წილ,
 საფლავს ჰნახავს ის ბედკრული.

ანტიგონე.

მშვიდობით, ჩემნო მოქალაქენო,
 უნდა წავიდე, რომ ჩავესვენო
 ცივ სამარეში მე ბედით მწვარი;
 მზე ჩადის—იმას ვერ ვნახავ კვალად



და ახერონის კიდესა ძალად
უნდა ვესტუმრო გაუთხოვარი.

ხორა.

შენა გეშორდები—დიადი
მოქმედებითა შენითა,
არა მოკლული მტრისა ხმლით,
არცა რაიმე სენითა,
შენ თვით გაზომე შენი გზა
და აირჩიე ლხენითა.

ანტიგონე.

ნიობეია, ფრიგიელ ქალი,
ვიცი, კლდედ იყო გადაქცეული.
კლდესა მიეკრა საწყალი,
სურო-გულს-გადახვეული,
თოვლი ქვად ქცეულს ზედ ადევს,
გაყინული აქვს სხეული,
და ცივი წყაროდ ჩამოსდის
ცრემლი ძირს ჩამორხეული.
აწ იმის ბედი მეცა მომელის,
მეცა ვყოფილვარ ისე წყეული.

ხორა.

ის იყო ღვთისა ჩამომავალი,
შენ კი — უბრალო მომაკვდავისა,
მაგრამ შენც გახდი მისი ბადალი,
სახელოვანი ჰკვდები, ვით ისა.



ანტიგონე.

—ოჰ ნუ დამცინით, ღვთისა გულისთვის,
 ნუ მომაყენებთ შეურაცხყოფას,
 სანამ ცოცხალ ვარ ბედითაჯრული
 და არ გავშორდი სრულებით ცნობას.
 სამშობლო მხარევ, ოჰ სანეტარო,
 ხალხო, მფარველო ძველი დიდების,
 დირკეთის ტალღავ, საღმრთო ბაღებო
 ეტლებით სავსე მდიდარი თების—

მოწმე ხართ ყველა:

უსამართლობამ,

უკანონობამ,

თუმც არ მიმიძღვის უბედურს ბრალი,
 დამწვა, გამწირა საწყალი ქალი,
 დღე დამიბნელა.

უნდა მღვიმეში ვიყო მღებარი,

მკვდრებში—ცოცხალი,

ცოცხლებში—მკვდარი!

ხარო.

მედიდურად შენ გასწიე

და საფეხურს მიაღწიე

სიმაართლის და შევენებისა.

საზღო გაქვს და შესასყიდი

მამიშენის ცოდვა დიდი,

წყველა ბნელი განგებისა.



ანტიგონე.

ოჰ რად შეახე ამ სიმებს ხელი,
სიმებსა ამას ტანჯვის დიდისა,
რად მომაგონე ეს ბედი ბნელი
შთამომავალთა ლაბდაკიდისა?
მართალი არის: საწყალი დედა
გახდა თვისივე შვილისა ცოლი,
და სწორედ იმა სარეცელზედა,
რომელიც იყო მათი საწოლი,

მე დავიბადე!..

ოჰ საშინელებავ! ოჰ ცოდვის ბადე!..

ესლა იმათთან მივდივარ მეცა,
ახალგაზდა და გაუთხოვარი.

ოჰ ძმაო ძვირო, შენი სიკვდილით
შენ მეც გამიღე სამარის კარი.

ხორა.

არს კანონი ზეციერი,
მაგრამ ქვეყნად ქვეყნიერი
საჭიროა კანონები.

დაიღუპე შენ მით თავი,
რომ ქვეყნისა უარპყავი
და ზეციერს ემონები.

ანტიგონე.

ერთი გზა დამრჩა უკანასკნელი,
არც ნათესავი, არც საყვარელი —



არავინ არი!

მშვიდობით, მზეო, მშვიდობით მხარე,
მიწა-სამარევე, შენ მიმიბარე
სიცოცხლე მწვარი.

კრეონი.

განა არ იცით, ცრემლი-გოდება
დამნაშავეს რომ დახმარებოდა,
სიკვდილის წინა მოთქმას და ტირილს
ბოლოც არადროს არ ექნებოდა,
მაშ წაიყვანეთ, როგორც გიბრძანეთ,
ჩააგდეთ იგი იმ ბნელ მღვიმეში,
და იქ დაჰტოვეთ,—ნათელს ვერ ჰნახავს
იგი ამიერ მის სიცოცხლეში.
იმის საქმეა, მოჰკვდება თუ არ,
ჩვენ არ მიგვიძღვის დანაშაული,
ჩვენ განვაყენეთ ჩვენგანა მხოლოდ
და მოვიშორეთ ბოროტი სული.

ანტიგონე.

ჰოი სამარევე, სამარევე ბნელო,
შენ, საქორწილო დარბაზო ჩემო,
მივდივარ, ჩემთა მივესალმები,
განსვენებულთა შავ-მიწის ქვემო.
სამფლობელოში პერსეფონისა
სტუმარი მე ვარ უკანასკნელი,
და იმედი მაქვს, მომეგებება

მე დედ-მამა და ძმა საყვარელი.
თქვენი სიკვდილის შემდეგ, ვირფასნო,
მე განგიბანეთ ყველასა ტანი,
შევიმკეთ კუბო და შეგასხურეთ
საბკურებელი სუნნელოვანი.
ოპ პოლონიკე, ძვირფასო ძმაო,
შენც სჯულისამებრ დაგასაფლავე,
და კრეონმა კი დამნაშავედ მცნო,
თუმცა არ ვიცი რა დავაშავე.
რომ დედა ვიყო, შვილები მყავდეს,
და მომკვდომოდა მე მაშინ ქმარი,
არ დავარღვევდი მე მისთვის კანონს,
თუნდაც რომ შინა გამბრწუნოდა მკვლარი.
მაშინ ჩემთვისა არ იქნებოდა
კვლავ გათხოვება შეუძლებელი,
შვილიცა კვალად მეყოლებოდა,
თუ გამომგლეჯდა სამარე ბნელი.
მაგრამ დედმამა როცა არა გყავს,—
განსვენებულან ჰაიდის შინა,—
ძმასა ძვირფასსა რაღა გაგიჩინს,
ობლად დარჩენილს გიშველის ვინა?!
ამიტომ, ძმაო, პატივი გეცი,
და კრეონმა კი „ბოროტი ხარო“,
შემიბყრო იმან მე უბედური
და შემიწყვიტა სიცოცხლის წყარო.

არც ქმრისა ვიცი, არცა შვილისა
ზვევნა, აღერსი საბედნიერო,
უნდა ცოცხალი კუბოში ჩავწვე,
რა წამებაა, ღმერთო ძლიერო??
მაგრამ რა ღმერთი? რომელსა უნდა,
ნეტა ვიცოდე, ჩემი სიკვდილი?
მკვდარს პატივ-ვეცი და უნდა მოვკვდე
პატივცემისთვის პატივ-ახდილი.
თუ კი ღმერთებიც ჩუმად არიან,
გაეჩუმდე მეცა, რა გაეწყობა,
მხოლოდ ჩემს მტერსაც კი ააცილონ
ეს წვალება და უსამართლობა.

სორო.

ჰდუღს იმის სული უწინდელურად,
წყრომისა აღი არ გაჰქრობია.

კრეონ.

თქვენ, დარაჯებო! გასწიეთ ჩქარა,
ბევრს ნუ აყოვნებთ, თქვენთვის სჯობია.

ანტიგონე.

ვაიმე, სიკვდილს მივუახლოვდი.

კრეონ.

და განაჩენი არ შეიცვლება.

ანტიგონე.

ჰოი ღმერთებო სამშობლო მხარის,
მასაფლავებენ, აი, ეს არის,



მართველნო თების,
 ხალხო და ერო,
 თუ საქე ვქენი საღვთისმიერო,
 როგორ ვარ ღირსი დასაფლავების?!

(ანტიგონე კაჭუავა)

სოკო.

სტროფა პირველი.

დანაია იყო ტყვე და
 მზისა ნათელს მოკლებული,
 შენისავით ციხეში სჯდა
 მშვენიერი ის ასული;
 ზეესი მასთან დადიოდა,
 ოქროს წვიმით ჩამოსხმული.
 ვერვინ შესცვლის, რაც რომ არის
 ბედისწერით დადებული.

ვერც სიმდიდრე უთვალავი,
 ვერც სიმაგრე, ვერცა ნავი,
 ზღვის ტალღებზე მოცურავი,
 ვერ გიშველის ვერაფერი, —
 როცა შენი მოვა ჯერი.

ანტისტროფა პირველი.

დრიანტის შვილიც, მეფე ედონთა,
 ციხეში იყო დატყვევებული,
 ენა მახვილი იმასა ჰქონდა
 და მოუყვანა დიონისს გული;

ციხეში მარტო იტანჯებოდა,
ბოლოს კი იქმნა შეწყნარებული.

ბახუსის მლოცველ ტურფა ქალებსა
თურმე ცეცვის დროს იგი ჰხვდებოდა,
უქრობდა იმით თურმე სანთლებსა
და ლამაზებსა ემასხრებოდა
ჟამსა გალობის მხიარულისა...
ამით მუზებიც გააგულისა.

სტროფა მეორე.

სადაც ვერანი კლდეა სალმიდის,
ორი ზღვის შუა გადაქიმული,
ბოსფორის ტალღა გრიალით მიდის
და სცემს კლდეებსა გაშმაგებული,
იქ ორი ვაჟი ფენეის დიდის
არესს უნახავს დაბრმავებული.
დედინაცვალსა თითის ტარიითა
ამოეთხარა

მათთვის თვალები

და თვალში აქრილ სისხლის ღვარიითა
ჰჩიოდენ წყნარა

თურმე საწყლები.

ანტრისტროფა მეორე.

დასტიროდენ თავის ბედსა
იქ ორივე უბედურნი,
შესჩიოდენ შემომქმედსა

უმწეო და უდედურნი,
დედა — ქალი ერეხტიდთა, —
ცნობილ იყო ძველი გვარით,
თვით ბორეი იმას ჰზრდიდა,
ველებოდა ნიაგ-ქარით.
შორი მთებში განაზარდი
იყო ცქვიტი, იყო მარდი
ხტოდა, როგორც კვიცი, — ცხენი,
მაინც ველარ აიციდინა,
რაც რომ ჰქონდა წინდაწინა
ბედის წერით დანადგენი.

ტერეზი.

თების მართველნო! ორნი მოვედით,
ერთის გზითა ვართ ორივ მოსული,
მხოლოდ ერთისა ყურება-ხედვით...
ბრმასა წინ უძღვის თვალ-ახილული.

კრეონი.

რას იტყვი ახალს, მოხუცო ტერეზ?

ტერეზი.

მოგახსენებ და წინასწარმეტყველს
გაუგონე და მიჰყევი თანა.

კრეონ.

მე შენს რჩევასა, სიტყვასა ყოველს,
არ ვასრულებდი ბეჯითად განა?

ტერეზი.

სწორედ ამიტომ მოგეცა ძალა.

კრეონ.

ღვაწლიცა შენი, ვიცი, დიდია.

ტერეზი.

დღეს ბევრი რამე გამოიცვალა
და შენი ბედი ბეწვზე ჰკიდია.

კრეონი.

რა ამბავია? მითხარი მალე,
შიშითა ლამის გამისქდეს გული.

ტერეზი.

თვითონ მიხვდები, როცა გიამბობ
ნიშნებს სხვადასხვა სასწაულების.
ვიჯექ მარტო და ჩემთა ფრინველთა,
მეტყველთა ცათა დადგენილების,
ყურსა ვუგდებდი,—უცებ მომესმა
ხმა ფრინველების გაუგებარი,
ჩხავილი ჰქონდათ საკვირველი რამ
და ფრთების ბგერა გასაოცარი.
ჰგლეჯდნენ ერთმანეთს ნისკარტ-ბრქყალეებით
ჩემნი ფრთოსანნი გამწარებულად;
მე სამსხვერპლოსა ვეცი და აღებს
კითხვა დავუწყე შეშინებულად.
მაგრამ აღითა არ წამოინთო
ხორცეულთ წმიდა შესაწირავი,
თეძოსი ქონი ტუტაში გადნა
და მხოლოდ ბოლი ავარდა შავი.

ნაღველიც გასქდა ამდროს და წვეთი
 ბევრი დაეცა სამსხვერპლოს, მგონი,
 ძვალი ტიტველა აშვერილ იყო,
 გადაძრომოდა ხორცი და ქონი.
 სულ ეს მიაშბო მე ამ ყმაწვილმა
 (ის მე წინ მიძღვის, როგორც მე—ერსა);
 ისმინე, მეფევე! ვაი და შიში
 მოედო ყველას და ყველაფერსა.
 სამსხვერპლონი და საკურთხეველნი
 აღივსენ სუნით მიცვალებულის;
 დამარხვა მისი შენ აღგიკრძალავს
 და განსვენება განსვენებულის.
 ძალღოთა და ფრინველთ წარუტაცნიათ,
 განუბნევიათ ნაფლეთნი მძორის,
 ღმერთნი მაღალნი მწყრალოდ არიან,
 რისხვა ჰტრიალებს იმათი შორის,
 მსხვერპლი არ უნდათ!.. დაჰფიქრდი, შევილო,
 აბა ვინ არის შეუცდომელი?
 მაგრამ შეცდომას ასწორებს კაცი
 გონიერი და ჰკუის მყოფელი.
 ჯიუტობა და შეუსმენრობა
 ნიშანი არის უგუნურების,
 ანებე თავი იმ საწყალო მკვდარსა,
 ნუ იტებ თავზე უბედურებას.
 რა სახელია, რა სიმამაცე

მკვდართან ბრძოლა და მის შეგინება?
მე შენ მიყვარხარ, შეილო, და გირჩევ,
და ჩემი რჩევა ნუ გეწყინება.

კრეონ.

ბებერო! სჩანს რომ თქვენ ჩემი თავი
ამოგილიათ მიზანში ყველას,
ეხლა ჯერია მკითხაობისა,
შენგან ეღიან რაღაცა შევლას.
ნათესაებმა უკვე მიმტყუნეს,
მდაბალი შურის მომიდეს ცეცხლი.
ჰხვექეთ სიმდიდრე: სარდიდან ქარვა,
ინდოეთიდან — ოქრო და ვერცხლი;
ჰხვექეთ ფულები! — თქვენ ვერ მისწვდებით
დაასაფლავოთ მიცვალებული,
თუნდაც ზევესის მძლავრი არწივით
რომ იქნას იგი მოტაცებული
და წაღებული ოლიმპის წვერზე
ღმერთთა ტახტის წინ შესაჩივლელად, —
მე ამ ჩივილის არა მაქვს შიში
და მკვდარს ისევე დავტოვებ ველად.
ვიცი, ყოველი ადამიანი
უსუსური და მოსაკვდომია
და ღვთაებას ის ვერ შეურაცხყოფს,
იგი იმისთვის მიუწდომია.
მოხუცო ტერეზ, მე დამერწმუნე,

ბრძენსაც მოელის უბედურება,
თუ ანგარებით დაბრმავებული
ის ბინძურ საქმეს ემსახურება.

ტერეზ.

ვაგლახ, რომ კაცი არავინ ჰფიქრობს...

კრეონ.

რაზე?

ტერეზ.

რა ძვირი არის გონება!

კრეონ.

დასძინე ესეც: რა საშიშია
და მავნებელი უგუნურება.

ტერეზ.

შენ თვითონ რომ ეს არ გეყურება?!

კრეონ.

მოხუცო, კმარა, მე არა მინდა
შენი ჭაღარის შეურაცხყოფა.

ტერეზ.

შენ არ მითხარი — შესყიდულ ხარო?

შეურაცხყოფად ეს არ მეყოფა?!

კრეონ.

მკითხავენსა და მარჩიელებსა,
გამიგონია, უყვართო ფული.

ტერეზ.

მტარვალებსა კი — უსამარლობა
და თვითნებობა თავშეგებული.



კრეონ.

მოხუცო, მგონი, სულ დაგავიწყდა,
ვისთან ხარ და ვის ესაუბრები?

ტერეზ.

არა, მე მახსოვს ჩემი ღვაწლიცა,
როცა შენ იხსენ ქალაქი თები.

კრეონ.

ვით მარჩიელი კარგი ხარ, ალბად,
მხოლოდ არა გაქვს მართალი გული.

ტერეზ.

ნუ მათქმევინებ იმ საიდუმლოს,
რომელიც არის იქ დამარხული.

კრეონ.

მითხარი, მხოლოდ კი ნუ იცრუებ,
მხოლოდ ფულებსა ნუ გადაჰყვები.

ტერეზ.

უანგაროა ჩემი სიტყვები.

კრეონ.

ბებერო, მე შენ ვერ მომატყუებ.

ტერეზ.

მაშ გაიგონე: არ მოჰბრუნდება
ორჯერაც ცაზე ბორბალი მზისა
და სახლში თვითონ დაგესვენება
ცხედარი—შენთან ერთი ხორცისა.
ეს—სასჯელია—რომ ბნელ მღვიმეში

დაასაფლავე შენ ერთი სული,
და მოაკელი საფლავი იმას,
ვინც ჰგდია მინდვრად შეგინებული.
უსამართლობის არა აქვს ნება
არც კაცს, არც ღმერთსა ცათა-მყრობელსა,
მოგეწევინა ერთნიები
შენც, უსამართლოს, დაუნდობელსა.
სიკვდილის მთესი სიკვდილს მოიმკის
და მწუხარებას — მწუხარებისა;
აწ კიდევ იტყვი, რომ ფული არის
მიზეზი ჩემი მღელვარებისა?
საათი კიდევ — ხარი და გლოვა,
მოთქმა ქალების გულშემაზარი
დაგარწმუნებენ, ჰე მეფევ კრეონ,
თუ ჩემი სიტყვა შესყიდულ არი.
ისარი არის ეს ჩემი წყრომა,
მიზანში შენ ხარ ამოღებული,
ისარი იგი სულსა ესობა
და ჰკვეთს — მის მახვილს ვერ უძლებს სული.
შინ წადი, შვილო წამიყვა ჩქარა,
აქ ვერ დავრჩები, ამ ხალხის შუა.
დეე შესრულდეს ბედისა წერა
და უგუნურმა ისწავლოს ჰკუა.

სორო.

მეფევ, ეს სიტყვა საშინელია,
უბედურებას იგი გიქადის.

მას კი ტყუილი, სიცრუე რამე,
რაც კი ქალარა ამ ქვეყნად დადის
და ჩემი თმაცა გახდა ქალარა—
არ უთქვამს, არა!

კრეონ.

ვაგლახ, მეც ექვი შემომეპარა,
დათმობისა კი არა მაქვს ღონე;
თუ არ დავუთმე—და დავიღუბე...

ხორო.

დაუთმე, მეფევე, მე გამიგონე.

კრეონ.

სთქვი, რა უნდა ვქნა? მე ყაბული მაქვს.

ხორო.

წაბრძანდი თვითონ, გასწი ეხლავე:
ქალს დაუბრუნე თავისუფლება
და პოლინიკე დაასაფლავე.

კრეონ.

შენ აგრე მირჩევ? ავიღო ხელი?..

ხორო.

დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება!
თორემ სწრაფია ღმერთთა სასჯელი
და სინანული გვიან იქნება

კრეონ.

რა გაეწყობა? თუმცა არ მინდა,
მაგრამ ვცვლი მაინც ჩემსა ბრძანებას,



აუცილებელს ვერ ავიცილებ
 ვერა შევებრძვი უმაღლეს ნებას.

სიარო.

მიბრძანდი თვითონ, თვით აღასრულე-

კრეონ.

აი მივდივარ... ჯარის კაცებო,
 ვინა ხართ ახლო, ვინა ხართ შინა?
 გასწით, ირბინეთ, აიღეთ ცული,
 და არ შეჩერდეთ იმ გორამდინა,
 სადაც იტანჯვის ჩემი დისწული.
 მას დავუბრუნოთ თავისუფლება,
 სანამ ჯერ კიდევ არ არს გვიანი.
 სჯობია ისევ წყნარი ცხოვრება
 და მართველობა მშვიდობიანი.

სიარო.

სტროფა პირველი.

ჰე ბახუს, ძეო ზევესის,
 მეხითა მოგრიალისა,
 შენ, დედის მშვენიერებავ,
 კადმის ქალწული ქალისა,
 იტალიისა მფარველო,
 კვლავ ელევზიის კიდისა,
 მცხოვრებო—გამხარებელო
 თების, ქალაქის დიდისა;
 სადაც ჰცეკვავენ, ჰგალობენ



შენდა შეწირულ ქალები,
 დრაკონის კბილით ჰხარობენ
 ისმენის გაღმა ქალები,

ანტისტროფა პირველი.

მთისა კორდებზე ინთები,
 შუქით გიბრწყინავს სხეული,
 ნორიკიისა ნიმფებით
 ტურფად გარს შემოხვეული,
 გუნდი იმათი მოჰქროლავს,
 მოხტის, ვით გადარეული,
 კასტილის წყარო ბანს აძლევს
 ბროლად ძირს ჩამორხეული
 როცა ჩამოხვალ ქვევითა,
 თებისკენ მიეჩქარები,
 მიდამო შვეების ფრქვევითა
 ფშვინავს, მით განადარები,
 ვაზის ფოთლები თავს გიკრავს,
 ნიაფით ნანარნარები,
 მობრძანდი, ღმერთო ლამაზო,
 ღიაა თების კარები.

სტროფა მეორე.

ვით შენი დედა,
 სხვა ქალაქზედა
 უფრო შენ გიყვარს ქალაქი თები;
 ჩვენ ვიწვით ყველა,
 გვკვირია შეველა,



პარნასიდანა გაშალე ფრთები,
 და, როგორც ძველად,
 ჩვენდა სახსნელად,
 გადმოიარე ზღვად და მთები.

ანტისტროფა მეორე.

მოფრინდი, ძეო ზევესის,
 ვარსკვლავთა წინამძღომელო,
 წმიდა სარდალო ლოთების,
 ლხენით გულ-მოსაგებელო;
 გარს შემორტყმულო ქალებით,
 მათი მგზნებარე თვალებით,
 ცეკვით და გიჟურ კივილით
 ღამისა გამთენებელო,
 მოჭფრინდი, გვიხსენ, ჰე, ღმერთო,
 ცხოვრების მომნიჭებელო!

მოამბე.

(შემოდის)

თქვენ, ვისაც გერგოთ სასახლე კადმის
 და არე-მარე ამფიონისა,
 რაა სიამე და სიხარული
 ცხოვრების ამის დასალონისა?
 მე ამ ცხოვრებას ვაქებ ზოგჯერა,
 ზოგჯერ კი ლანძღვა მადგება პირსა,
 ხან ზედ აგიყვანს ბედისაწერა,
 ხან ჩამოგადგებს ისევე ძირსა.

არავინ იცის, რა დღე მოელის,
მომავალს ჰბურავს წყვედიანი ბნელი.
აი კრეონი—განა არ ჰქონდა
ცხოვრება მართლა მას სანატრელი.
იგი არ იყო, რომ მტრისგან იხსნა
ეს მიწა-წყალი—სამშობლო მხარე?
გახდა მეფე და შინ საყვარელი
ცოლშვილი იმას ეხვია გარე.
ეხლა ყველაფერს მოელო ბოლო,
რადგანც შეწყვეტა სიხარულისა
შეწყვეტა არის ნამდვილ ცხოვრების
და თვით სიკვდილი დაჩაგრულისა.
იყავ მდიდარი, გქონდეს ცხოვრება
ხელმწიფებური ამ ქვეყნის პირად,
მაგრამ თუ არ გაქ ბედნიერება,
შენი ცხოვრება არა ჰღირს ჩირად.

ხორო.

რა სიავისა მახარობელი
მოსულხარ კიდე?

მომამბე.

ის უკვე მოკვდა,
ხოლო ის, ვისაც მიუძღვის ბრალი
ის—ცოცხალია.

ხორო.

ვინ არს ცოცხალი?
ვინ არის მკვდარი?



მოამბე.

მოჰკვდა გემონი
და სისხლში ჰკურავს ის საცოდავი.

ხორო.

აგვიხსენ კარგად: მამამ მოჰკლა, თუ
თვითონ მოიკლა თავისი თავი?

მოამბე.

თვითონ მოიკლა, სწორედ იმიტომ,
რომ მამა მისი გამოდგა მკვლელი.

ხორო.

წინასწარმეტყველს მართალი უთქვამს,
აღსრულდა სიტყვა ის საშინელი.

მოამბე.

ეხლა რაღა ვქნათ?

ხორო.

აქ მობრძანდება

მეფის მეუღლეს—ვერიდიკაი.
აღბად უბედურს მოუვიდოდა
უბედურ შვილზე ამბავი კაი.

ვერიდიკა.

მამულის შვილნო! რა მესმის კიდე,
რა ამბავია გულშემაზარი?
წმიდა პალლადის ტაძარში ვიყავ
სავედრებელად,—შევაღე კარი;
მაშინ ამბავიც მომესმა მწველი,

უეცრად გულზე შემომეყარა;
მოახლეებმა მომხვიეს ხელი
გამომიყვანეს იქიდან წყნარა.
მართალი არის მითხარით ჩქარა,
ის, რასაც მე აქ მოვკარი ყური?
ნუ დამიძალავთ, ტანჯვას ავიტან,
მიჩვეული ვარ მე უბედური.

მომბე.

მე, დედოფალო, მე მოგახსენებ
ყველაფერს, რასაც მოვკარი თვალი,
რომ მოგატყუო, ცრუს დამიძახებ,
სიტყვა სჯობია ისევ მართალი.
ჩვენ აქედანა გავსწიეთ ჩქარა,
წინ მიმიძლოდა სულ შენი ქმარი,
იქ დაგლეჯილი ძაღლების კბილით
შეგინებული მოვძებნეთ მკვდარი;
თავდაპირველად პლუტონს და ჰეკატს,
მოსაგებელად იმათი გულის,
ჩვენ მივუძღვენით ლოცვა და მერე
გავბანეთ გვამი მიცვალებულის.
შევედით ტყეში, ზეთის ხილისა
დავამტვრიეთ და შევკრიბეთ შტონი,
დავაწყვეთ მერე, ზე დავდეთ მკვდარი
და წამოვანთეთ ბოლოს კოცონი.
—მერე გავსწიეთ მღვიმისკენ, რომ იქ

ჩვენი პატარძლის გვენახა ბინა,
 მიუახლოვდით, კენესა მოგვესმა
 და შიშმა ძრწოლა დაგვაწყებინა.
 ვაცნობეთ ჩვენ ეს მეფესა კრეონს,
 კრეონი წასდგა, დაუგდო ყური,
 მისი სმენასაც არ ასცდენია
 ხმა ის ტანჯვისა ჯოჯოხეთური.
 — „ვაიმე, ვაი! მეფემ იყვირა —
 მე რა ვიყავი, რა გულთმისანი,
 რა ვიცოდი რომ დღენი მელოდნენ
 მწუხარების და წვალებისანი?!
 ნუთუ ხმა ესე გემონისაა?
 მსახურნო ჩემნო, მიშველეთ, მოდით,
 ჩამოანგრით ეს შესავალი
 ბნელი მღვიმისა, შეკრული ლოდით,
 შედით და ჰნახეთ, გემონი არის,
 თუ მე უბედურს მატყუებს ყური?!“
 ეს გვიბრძანა და დაჰკარგა მეფემ
 მისი სიმშვიდე უწინდელური.
 ჩვენ ავასრულეთ ბრძანება მეფის,
 და რომ შევედით — შევნიშნეთ ქალი:
 ერთსა კუთხეში ბნელი მღვიმისა
 კისრით ეკიდა იგი, საწყალი;
 თვისი კაბისა ნახევით თოკი
 დაეგრინა და დაეხრჩო თავი;

იქვე გემონი ეგდო—მის მუხლებს
შემოხვეოდა ის საცოდავი.
თავის საცოლეს ის შესტიროდა,
სწყევლიდა ბედსა და თვის მამასა.—
მეფემ რომ ჰნახა, ტირილი მოართო
და მუდარებით მიჰმართა მასა:
„შვილო, რას შერები? რასა ჩადიხარ?
ანუ რალა გაქვს შენ სასიკვდილო?
წამოდი, ცრემლით გემუდარები,
წამო აქედან, ძვირფასო შვილო!..
შვილი უმზერდა გაფითრებული,
გაშტერებული მის თვალებითა,
არა უთქვამს რა, იძრო ხანჯალი
და მამას ეცა მძულვარებითა.
მეფემ მოასწრო გაქცევა, მაგრამ
შვილი კი დარჩა გონ-დაკარგული,
მოატრიალა ხანჯლისა წვერი
და თვით დაიცა—გაიპო გული.
სიკვდილის წინე სუსტი ხელებით
ის კიდევ სატრფოს ეტანებოდა
და ყმაწვილ ქალის მიხდილი სახე
მისი სისხლითა იღებებოდა.
აგრე არიან შეუღლებულნი
სამეფოსა მას მდუმარებისა
და სამუდამოდ მიძინებულნი,
მსხვერპლნი ტრფობის და მწუხარებისა.



ხორო.

არა უთქვამს-რა დედოფალს, ისე
წაბრძანდა იგი, დადუმებული,
და ეს სიკეთეს არ მოასწავებს.

მოამბე.

მეცა ვარ ამით გაკვირვებული.
აღბად დედოფალს ეთაკილება
აქვე, საჯაროდ, მოთქმა-ტირილი,
და სასახლეში შევიდა, რომ იქ
მხევალთა შორის იტიროს შვილი.
ის გონიერი დედაკაცია,
არრას ჩაიდენს,

ხორო.

არა მგონია.

დიდსა ტანჯვაში სიმშვიდე დიდი
საშიში არის, გამიგონია.

მოამბე.

მე სასახლეში შევალ ეხლავე,
მართლა ხომ არ აქვს განძრახვა ბნელი?
შენ მართალი სთქვი: ამ შემთხვევაში
ყველაფერია მოსალოდნელი.
(შემოდის კრეონი, შემოაქვს შვილის გვამი).

ხორო.

აგერ მეფეცა! ხელთა უბრყრია
ცხედარი შვილის უბედურისა,



საბუთი მისი, რომ თვითონ იგი
 არის მიზეზი მის სიკვდილისა.

კრეონ.

სტროფა პირველი.

ოჰ საზარო, საშინელო,
 შეცდომაო ჩემთა აზრთა.
 ჰნახეთ მკვდარი, ჰნახეთ მკვლელი,
 ჰნახეთ, თუ რა დამემართა?!
 შენ კი არა, ჩემი ხელი
 არის, შეილო, შენი მკვლელი:
 ახალგაზდა და ჯანმრთელი
 გაგაყოლე წინაპართა.

ხორო.

ეხლა კი სცანი სიმართლე, მარა
 გვიანდა არის.

კრეონი.

სიმართლე ესცანი!
 ვაიმე, მაშინ განრისხდნენ ცანი,
 დამიხშეს ერთობ ჭკუა და სმენა;
 დამავლეს ხელი
 მე უღმობელი
 და გადამაგდეს უფსკრულსკენა.
 ოჰ რა ბნელია, რა საძაგელი
 ცოდვის მყოფელი
 წუთი სოფელი!

მსახური.

(შემოდის)

მეფეო, სჩანს რომ ეს არა კმარა,
მოდის უწყალოო ჭირზედა ჭირი,
აქ შვილს დასტირი და სასახლეში
ერთი სხვაც გიდევს კვლავ დასატირი.

კრეონი.

რა უნდა იყოს უბედურება
ამაზე მეტი?

მსახური.

აქ დედოფალმა
ვერ აიტანა შვილის სიკვდილი
და წუთისოფელს გამოესალმა.

კრეონი.

ანტრისტროფა პირველი.

პოი სიკვდილო, შე საშინელო,
რატომ გამიხდი მძვინვარე მტერი,
რატომ წამართვი სუყველაფერი?
რა მითხარ, მონა? რა ზარდამცემი
ამბავი მოგაქვს?—მომკალი ბარემ!
ორივ — შვილი და მეუღლე ჩემი —
ორივ წაიღო ცივმა სამარემ!

(იღება კანი; სასახლის შიგან მოსჩანს ცხელა-
რი ევროდიკისა)



მსახური.

შეჰხედე თვითონ სახლისა შიგან—
აი ცხედარი ევრიდიკისა.

კრეონ.

ანტისტროფა მეორე.

ვაიმე, ვაი! რაღა ნაირი
უნდა დამატყდეს მე კიდევ ქირი.
რომ სულ მომეღოს უბედურს ბოლო?
აქ—შვილი ჩემი, მკვდარი, უსულო,
იქ—დედა მისი... ვაიმე, შვილო!
ვაიმე, ცოლო!

მსახური.

ჯერ დედოფალმა იტირა გემონ
და გარდაცვლილი ადრე მეგარე.
როცა მისუსტდა, სიკვდალის ჩრდილი
თვალების ორმოს მოერტყა გარე,
სამსხვერპლოს წინა დაემხო და შენ
დაგიწყო წყევლა მან საშინელი,
ღმერთებმა სისხლი შენზე იზღონო
და დაგტანჯონო შვილსა მკვლელი.

კრეონი.

სტროფა მესამე.

ვაიმე, ვაი!
შიშითა მიძრწის
გული მწუხარი,

მაგრამ ვინ მიხსნის,
არა ვინ არი,
რომ შემთბრალოს, დამკრას ხანჯალი,
და მომასვენოს... ვაი ჩემი ბრალი!

მსახური.

სულს რომ ებრძოდა მეუღლე შენი,
ბრალს შენ გადებდა შეილის სიკვდილში
და თავისაში.

კრეონ.

მითხარი, როგორ
იმ საცოდავმა მოიკლა თავი?

მსახური.

ხანჯალი იმან დაიკა გულზე,
რომ გაიგონა შეილის ამბავი.

კრეონ.

სტროფა მეოთხე.

მე მოვკალი ის საწყალი,
არ მიუძღვის სხვასა ბრალი,
მარტო მე ვარ მისი მკვლელი.
თქვენ, მსახურნო, გეთაყვანეთ,
სადმე შორსა წამიყვანეთ...
გადამკარგეთ მე დღე-ბნელი.

ხორო.

მართალსა ამბობ, უკეთესია
აქაურობას—მოშორდე სულა.

Handwritten signature and scribbles



ტანჯვის წამალი დავიწყებაა,
 მით სევდა ბევრი დამცირებულა.

კრეონი.

ანტისტროფა მესამე.

სადა ხარ? მოდი და დამანახე,
 სიკვდილო, შენი ძვირფასი სახე,
 ოჰ მოდი ჩქარა!

თან დღე მოიყვა უკანასკნელი,
 დღისა მეორის კიდევ ნათელი
 არ მინდა, არა!

ხორო.

ხვალინდელი დღე, დღე მომავლი,
 ცისა ნებაა და არა ჩვენი.

კრეონ.

თქვენ ამასა გთხოვთ...

ხორო.

ნუ ითხოვ ნურას,
 შეუცვლელია მის განაჩენი.

კრეონ.

ანტისტროფა მეოთხე.

ოჰ, განმაძევეთ, მოქალაქენო,
 ამ ქვეყნიდანა ბოროტი ქმარი.

შვილი მე მოვკალ ჩემი ხელითა
 ცოლსა მე მივე სამარის კარი.

უბედური ვარ! სად, ვის მივმართო?




დავკარგე ყველა!.. მე დავრჩი მარტო!..
 თავზე დამატყდა უბედურება,
 რისხვა ცისა და განადგურება.
 (კრეონი გაჭყავთ)

ხორო.

თუ ცხოვრება გინდა ჰნახო
 საამო და ბედნიერი,
 ნება შენ არ გადაჰლახო
 მიწიერმა ზეციერი;
 იყავ ბრძენი, მიწის შეილო,
 ვერრას გარგებს ენა-ყბედი,
 თუ გინდა რომ აიცილო
 მწუხარება და შავბედი.

ბოლო.

ბ. ტ. დ. გ.





თარგმანის შესახებ.

—:—

ზომით და აგებულებით სამ-მუხლიანი
„მეტრული იამბიკო“ ყველაზე უფრო ჰგავს
სილაბურს „შავთელურს“. მეც აგრე მაქვს
გადათარგმნილი ეს დიდებული თხზულება.

ბერძნულად რიფმა არ არის. ქართულად
კი ურიფმო ლექსი ლექსი არ არის. ამიტომ
თარგმანი უფრო რიფმოსანია, თუმცა რიფმის-
თვის აზრი არ შემეწირავს, აზრისთვის რიფ-
მა კი—ძალიან ხშირად.

